გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შესარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. ინსტიტუტის დირექტორს, თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დებულების შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე შეარჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

2. ინსტიტუტის დირექტორად შეიძლება შეირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია თსუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის N63/2017 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 23 ივნისის N3 სხდომის ოქმით დამტკიცებული ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესით“ და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების მე-2 მუხლითა და ,,საკონკურსო თანამდებობებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები ინსტიტუტების და სამეცნიერო თანამდებობების მიხედვით“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და 2023 წლის 06 ივნისის # 54/2023 უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობის შესახებ.

3. კონკურსი ცხადდება ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად - 1 საშტატო ერთეული.

4. კონკურსანტი უნდა აკმაყოფილებდეს:

4.1. საკონკურსოდ გამოცხადებული ვაკანსიის პროფილის მიხედვით ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლისადმი წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს, რაც მდგომარეობს შემდეგში: მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 10 წლის ვადით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება (რაც გულისხმობს არამხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 3 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით.

4.2. თსუ ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებით მოთხოვნებს, რაც მდგომარეობს შემდეგში - დარგობრივი სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მართვის სტრუქტურებში მუშაობის გამოცდილება.

5. უნდა ჰქონდეს სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის (მენეჯმენტის) გამოცდილება, კერძოდ:

ა) სამეცნიერო დაწესებულების მართვის ორგანოებში მუშაობის ან სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის მართვის 5 (ხუთი) წლის გამოცდილება მაინც;

ბ) საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო ფორუმების საორგანიზაციო ან სამეცნიერო კომიტეტების ხელმძღვანელობის გამოცდილება.

6. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სახელზე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული პირის ვინაობა, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი;

ბ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის სურათიანი გვერდის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV), სამეცნიერო პუბლიკაციების ნუსხითურთ, შედგენილი კონკურსანტისათვის მისაღები ფორმით მისი მოღვაწეობის სრულად ასასახავად (ავტობიოგრაფია წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, ფაილის ფორმატი – Word და PDF ფაილების სახით);

დ) ორი ფოტოსურათი (3X4);

ე) ცნობა ნასამართლების შესახებ (სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ);

ვ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;

ზ) სამსახურეობრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა/შრომის წიგნაკის ასლი/ სხვ.);

თ) სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ი) ინსტიტუტის დებულებიდან გამომდინარე ინსტიტუტის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრისა და ფუნქციების შესრულების, აგრეთვე ინსტიტუტის შემდგომი განვითარების მისეული ხედვა.

კონკურსი გამოცხადდეს 2023 წლის 16 ივნისს. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს 2023 წლის 23 ივნისიდან 2023 წლის 28 ივნისის ჩათვლით, 10:00-დან 17:00 საათამდე, ინსტიტუტის შენობაში, თბილისი, მინდელის ქ. №11 ოთახი № 408.

დირექტორობის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად განცხადების წარმომდგენი დაინტერესებული პირი რეგისტრირებულად ჩაითვლება, თუ იგი დადგენილ ვადაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსათვის გადასაცემად თსუ კანცელარიაში სრულყოფილად წარმოადგენს ამ მუხლითა და დირექტორის კანდიდატურის შერჩევის პროცედურის დაწყების შესახებ განცხადებით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას.

სამეცნიერო საბჭოს სხდომის შემაჯამებელი ოქმი თსუ აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2023 წლის 07 ივლისისა.